

მოთხოვნაზე დამყარებული ეკონომიკის ზრდა და სამართლებრივი გამოხმაურებები საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში

აბსტრაქტი

რა სამართლებრივი სტატუსი აქვთ მოთხოვნაზე დამყარებულ ეკონომიკაში (gig-economy) დასაქმებულ პირებს? „დასაქმებულები“ არიან თუ „დამოუკიდებელი კონტრაქტორები“ ხელფასის, სამუშაო საათების, წახალისებისა და შრომის სამართლის ჭრილში? საქართველოშიც და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც ამ სექტორს ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს და, ამასთანავე, იგი სწრაფად მზარდია, თუმცა ზუსტი სტატისტიკა არცერთ ქვეყანაში არ არსებობს. ორივე ქვეყანაში გიგ-ეკონომიკაში ჩართული კომპანიები მათთან დაკავშირებულ პირებს მოიხსენიებენ დამოუკიდებელ კონტრაქტორებად, თუმცა, დამოუკიდებელი კონტრაქტორების კლასიკური გაგებისაგან განსხვავებით, მასში მომუშავე პირების ხელშეკრულებები ბევრ ისეთ ასპექტს მოიცავს, რომლებიც მათ ტრადიციულ დასაქმებულებად უფრო დააკვალიფიცირებდა. ამასთანავე, არცერთ ქვეყანაში საკანონმდებლო ცვლილებები ვერ პასუხობს იმ სწრაფ ცვლილებებს, რომლებიც გიგ-ეკონომიკაში მიმდინარეობს.

საქართველოსა და აშშ-ში გიგ-ეკონომიკის ბუნებისა და გავრცელების მახასიათებლების განხილვის შედეგად, სტატია წარმოადგენს შესაძლო გამოხმაურებებს, მათზე საპასუხოდ, თუმცა შესაძლოა, ეს საკმარისი არ აღმოჩნდეს. ტექსტში განხილული იქნება შედარებით ფართო საკითხები, მაგალითად, როგორ უნდა დარეგულირდეს საკანონმდებლო დონეზე გიგ-ეკონომიკაში დასაქმებულ პირთა სამართლებრივი სტატუსი.

I. შესავალი

საქართველოსა და აშშ-ში, ისევე, როგორც მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში, შეიმჩნევა მოთხოვნაზე დამყარებულ ეკონომიკაში დასაქმებულ პირთა რაოდენობის მზარდი დინამიკა. ტრადიციული სამართლებრივი კლასიფიკაციით, ეს პირები არ მიეკუთვნებიან არც „დასაქმებულთა“ და არც „დამოუკიდებელი კონტრაქტორების“ კატეგორიებს, შესაბამისად ცხარე კამათი მიმდინარეობს იმის თაობაზე, თუ რა კლასიფიკაციას უნდა ექვემდებარებოდეს მომუშავეთა ეს ჯგუფი და ასევე, რა შრომითი სამართლებრივი უფლებები შეიძლება მათ მიენიჭოთ.

სტატია იწყება საქართველოსა და აშშ-ში მოთხოვნაზე დამყარებული ეკონომიკის ზრდის დინამიკაზე დაკვირვებით. შემდეგ ის აღწერს ამ სექტორის მახასიათებლებს. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიები ცდილობენ ასეთი დასაქმებულები დამოუკიდებელ კონტრაქტორებად დააკვალიფიცირონ და არა დასაქმებულებად (კლასიკური გაგებით), ორივე ქვეყანაში არსებული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ეს პირები [სამუშაოს

¹ ჩრდილოეთ ოჰაიოს უნივერსიტეტის სამართლის კოლეჯის პროფესორი, ამჟამად მოწვეული ლექტორი აკრონის სამართლის სკოლაში. მისი სურვილია განსაკუთრებული მადლობა გადაუხადოს პროფესორებს - ვახტანგ ზაალიშვილსა და გიორგი ამირანაშვილს და მის თანა-ავტორს - ანა მიხელიძეს. სტატიის მომზადება შეუძლებელი იქნებოდა მათი დახმარებისა და გამხნეების გარეშე.

² შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბაკალავრი.

შემსრულებელთა] ორივე კატეგორიის კომბინაციას წარმოადგენენ. ასევე, განხილულია თუ რამდენად პასუხობს შრომის სამართლის კანონმდებლობა საქართველოსა და აშშ-ში მოთხოვნაზე დამყარებული ეკონომიკის ზრდას, შედეგად კი იღებს იმას, რომ ასეთი სამართლებრივი პასუხი არც თუ ისე ადეკვატურია.

მომდევნო ნაწილი ფოკუსირებულია უფრო ფართო საკითხებზე, როგორცაა მაგალითად, როგორ და რა მეთოდებით უნდა ეცადოს კანონმდებელი, მოთხოვნაზე დამყარებულ ეკონომიკაში დასაქმებულ პირთა სტატუსის შესახებ არსებული საკითხების გადაჭრას. შემოთავაზებულია სხვადასხვა მიდგომა, მათ შორის კლასიფიკაციისათვის დაწესებული კრიტერიუმების დაზუსტება, კლასიფიკაციის სისტემის საერთოდ მოშლა და მის ნაცვლად შრომითი სამართლებრივი დაცვის მექანიზმების ყველაზე თანაბრად გავრცელება ან მომუშავეს ახალი, შუალედური სტატუსის შექმნა, რომელიც მოთხოვნაზე დამყარებულ ეკონომიკაში დასაქმებულ პირებზე იქნება უშუალოდ მორგებული და მათ შესთავაზებს გარკვეულ დამცავ მექანიზმებს, რომლებიც სხვებზე არ გავრცელდება. ბოლოს კი, სტატიაში წარმოდგენილია მოწოდება სახელმწიფოებისთვის ერთმანეთთან კოორდინაციით შეიტანონ ცვლილებები თავიანთ შრომით კანონმდებლობებში იმის უზრუნველსაყოფად, რომ ხსენებულ სექტორში მომუშავე პირები მინიმალურად მაინც იყვნენ დაცულნი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთადერთი ალტერნატივა, რაც რჩება, არის სექტორის თვითრეგულირება მულტი-ნაციონალური კომპანიების მიერ, რასაც შედეგად მოჰყვება დასაქმებულთა უფლებების მასიური შეზღუდვა.

II. მოთხოვნაზე დამყარებული ეკონომიკაში კონტიგენტისა და სამუშაოს ზრდა აშშ-სა და საქართველოში

A. ამერიკის შეერთებული შტატები

არსებული შრომის სამართლის კანონმდებლობა მიღებულია ხანგრძლივი, სტაბილური შრომითი ურთიერთობების ვარაუდით;³ თუმცა, ეს ვარაუდი ბოლო რამდენიმე ათწლეულია კარგავს აქტუალობას. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ კომპანიები გრძელვადიანი შრომითი ხელშეკრულებებიდან გადავიდნენ „შემთხვევით“ (contingent) სამუშაოზე. ეს არის სამუშაო, რომელიც გამოკვეთილად ისეა მოწყობილი, რომ მოკლე ვადიანი იყოს და, ამგვარად, დასაქმებულები არიან დამოუკიდებელი კონტრაქტორები („ფრილანსერები“ და კონსულტანტები), გამოძახებით მომუშავეები და ისეთი პირები, რომლებსაც სააგენტოები სთავაზობენ დამსაქმებლებს.⁴ ეს ტენდენცია, ბოლო 2-3 წლის განმავლობაში, კიდევ უფრო თვალშისაცემი გახდა და ამას ცხადყოფს მოთხოვნაზე დამყარებული, ე.წ. gig-ეკონომიკის განვითარება.⁵

დღესდღეობით, არ არსებობს gig-სამუშაოს დამკვიდრებული განმარტება.⁶ როგორც წესი, იგი მოიცავს ერთ კონკრეტულ დავალებას ან პროექტს და, ხშირად, დამყარებულია მოთხოვნაზე.⁷ ასეთი სამუშაო შეიძლება, გაგრძელდეს რამდენიმე კვირის, თვის (ასეთ შემთხვევაში მოკლევადიან სამუშაოს წაგავს) ან სულაც, წუთის განმავლობაში.⁸ მომუშავემ შეიძლება მხოლოდ ერთ დავალებას მოჰკიდოს ხელი, ან, ერთდროულად,

³ Stone, K. V. W., From Widgets to Digits: Employment Regulation for the Changing Workplace, 2004; Sanjukta, M. P., Uber as For-Profit Hiring Hall: A Price-Fixing Paradox and its Implications, 38 Berkeley, J. Employ. & Lab. L. 233, 2017, 249. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2817653> (არაფერი, რაც „მძღოლების Uber-თან ურთიერთობას აღწერს, არ შეესაბამება მუშა ხელის „შემთხვევით“ დასაქმების სამართლებრივ ფორმას, „ახალი [ტიპის] გარიგების“, ე.ი. შრომითი ურთიერთობის, მარეგულირებელი ჩარჩოს მოთხოვნებს“).

⁴ იქვე, სამთავრობო ანგარიშვალდებულების ოფისის (Government Accountability Office) გაანგარიშებით, დაახლოებით, 40% ამერიკელი დასაქმებულებისა „შემთხვევითი“ მუშაკები არიან. იხ. Murray, P., Gillibrand, K., Contingent Workforce: Size, Characteristics, Earnings, and Benefits, S. Doc. No. GAO-15-168R, 2015, 4.

⁵ იხ. შემდგომში-12-მე-20 სქ.-ში მოცემული ტექსტი.

⁶ Torpey, E., Hogan, A., Working in a gig economy, Bureau of Labor Statistics Career Outlook, May 2016. ვებ-გვერდზე: <<http://www.bls.gov/careeroutlook/2016/article/what-is-the-gig-economy.htm>>.

⁷ იქვე.

⁸ იქვე.

რამდენიმეს შეეჭიდოს.⁹ მოთხოვნაზე დამყარებული ეკონომიკის, როგორც სექტორის, ზრდა კიდევ უფრო დააჩქარა ისეთი კომპანიების გამოჩენამ, რომლებიც მომუშავეებს დამსაქმებლებთან ვებ-გვერდების ან მობილური აპლიკაციების მეშვეობით აკავშირებს. (ასეთი კომპანიებია, მაგალითად Uber¹⁰ და Grab).

ამერიკის შეერთებული შტატების შრომის სტატისტიკის ბიურომ, 2005 წლის შემდეგ, შეწყვიტა „შემთხვევითი სამუშაოს“ შესახებ ხელშეკრულებათა სტატისტიკის წარმოება,¹¹ თუმცა აღწერა განახლდა 2017 წლის მაისში მოსახლეობის საერთო გამოკითხვისას.¹² ბიუროს 2015 წლის მონაცემებით, „შემთხვევითი“ სამუშაოთი დაკავებული პირები დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 1.8-4.1%-ს შეადგენდნენ, ხოლო დამოუკიდებელი კონტრაქტორები 7.4%-ს.¹³

საბოლოო ჯამში, ბიუროს მიერ აღრიცხვის შეწყვეტამ და მონაცემების არ არსებობამ საფუძველი დაუდო ფართო განხილვებს გიგ-ეკონომიკის ზრდაზე.¹⁴ დღევანდელი მდგომარეობით, ამ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობაზე მიახლოებული მონაცემები აქვს აშშ-ის სტატისტიკის ბიუროს, რომელმაც ინფორმაცია დაამუშავა ისეთ არა-დამსაქმებელ კომპანიებზე დაყრდნობით, სადაც საერთო წლიური შემოსავალი შეადგენს წელიწადში 1000 აშშ დოლარს (ან 1 აშშ დოლარს სამშენებლო სექტორში), თუმცა დასაქმებულები არ ჰყავს დასაქმებულები.¹⁵ ასეთი ბიზნესში დაახლოებით 86% არის თვით-დასაქმებული და მათი 100%-იანი წილის მფლობელი მხოლოდ ერთი პირია.¹⁶ დამგზავრებისა და ოთახების გაქირავების ინდუსტრიაში, ფირმების 93%, სწორედ, ასეთი მესაკუთრეა.¹⁷ ეს ადამიანები წარმოადგენენ ჯგუფს, რომელიც გიგ-ეკონომიკაში ეძებს სამსახურს. მაშასადამე, ეს მონაცემთა ერთობლიობა არის ყველაზე ახლოდან ხედვა იმისა, თუ რა მდგომარეობა აშშ-ის გიგ-ეკონომიკის ბაზარზე.

მთლიან ეკონომიკაში არა-დამსაქმებელი ფირმების რიცხვი 1997 წლიდან 15 მილიონიდან 2007 წელს 22 მილიონამდე, ხოლო 2014 წელს 24 მილიონამდე გაიზარდა.¹⁸ 1-ე¹⁹ გრაფიკში ნაჩვენებია არა-დამსაქმებელი ფირმების ზრდის თანაფარდობა კლასიკური ხელფასის გამცემი სექტორის ზრდასთან.

⁹ იქვე.

¹⁰ იხ. მაგალითად, *Woo, Ch., Bales, R.*, The Uber Million Dollar Question: Are Uber Drivers Employees or Independent Contractors?, 68 Mercer L. Rev., 2017, 461.

¹¹ *Hathaway, I., Muro, M.*, Tracking the gig economy: New numbers, Brookings Institute Report, Oct. 13, 2016. ვებ-გვერდზე: <<https://www.brookings.edu/research/tracking-the-gig-economy-new-numbers/>>.

¹² მდივანი შრომის საკითხებში (Secretary of Labor) *Perez, T.*, Innovation and the Contingent Workforce, U.S. Dep't Labor Blog, Jan. 25, 2016. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://blog.dol.gov/2016/01/25/innovation-and-the-contingent-workforce/>>.

¹³ Bureau of Labor Statistics News, Contingent and Alternative Employment Arrangements, February 2005, USDL 05-1433 (July 27, 2005), 1.

¹⁴ იხ. მაგალითად, *Steinmetz, K.*, Exclusive: See How Big the Gig Economy Really Is, Time, Jan. 6, 2016. ვებ-გვერდზე: <<http://time.com/4169532/sharing-economy-poll/>>, (სავარაუდოდ, მინიმუმ, 14 მილიონია, ამჟამად, დასაქმებული გიგ-ეკონომიკაში), *Neuner, J.*, 40% of America's Workforce Will Be Freelancers by 2020, Quartz, Mar. 20, 2013; *Miller, R.*, Half of All Workers Could be Freelance by 2020, Startup Donut, June 26, 2015. ზოგადად, იხ., *Lobel, O.*, The Gig Economy & The Future of Employment and Labor Law, 51 USF L. Rev., 2016. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <ssrn.com/abstract=514132>.

¹⁵ *Hathaway, I., Muro, M.*, დასახ. ნაშრომი, მე-11 სქ.


¹⁶ იქვე, 5.

¹⁷ იქვე.

¹⁸ *Hathaway I., Muro, M.*, დასახ. ნაშრომი, მე-11 სქ. აშშ-ის დასაქმებულთა საერთო ოდენობა იყო 129 მილიონი, 1997 წელს, ხოლო 145 მილიონი, - 2014 წელს.


¹⁹ იქვე.

გრაფიკი 1



gig-ეკონომიკის ზრდა, კიდევ უფრო, თვალშისაცემია, როდესაც საქმე ეხება სახმელეთო ტრანსპორტის ინდუსტრიას. მე-2 გრაფიკი²⁰ გვიჩვენებს, რომ სახმელეთო ტრანსპორტის სექტორში არა-დამსაქმებელი კომპანიების რიცხვი დრამატულად გაიზარდა 2010 წელს; ზუსტად იმ წელს, როდესაც სან ფრანცისკოში Uber-ის სერვისებით სარგებლობა დაიწყო. 2014 წელს, კიდევ ერთხელ, რეკორდული ზრდის მაჩვენებელი დაფიქსირდა და ეს ტრენდი დღესაც გრძელდება.²¹ *იან ჰეთევი* და *მარკ მურო* ხსნიან, რომ: „2014 წელს არა-დამსაქმებელი კომპანიების ზრდის მაჩვენებელი დამგზავრების ინდუსტრიაში 34% იყო, ხელფასის გამცემი მსგავსი კომპანიების ზრდის მაჩვენებელი მხოლოდ 4%-ია. 2010-დან 2014 წლამდე „დამგზავრების“ ინდუსტრიაში არსებულმა არა-დამსაქმებელმა კომპანიებმა 64%-იანი ზრდა აჩვენეს მაშინ, როდესაც იმავე ინდუსტრიაში ხელფასის გამცემი კომპანიების ასეთი ზრდა მხოლოდ 17% იყო“²².

გრაფიკი 2



Gig-ეკონომიკის ასეთი ზრდა, განსაკუთრებით, თუ ეს ხდება ტრადიციული შრომითი ურთიერთობების წილის შემცირების ხარჯზე, მნიშვნელოვნად ასუსტებს ამერიკის შრომით

²⁰ იქვე.
²¹ იქვე.
²² იქვე.

გაერთიანებებს იმის გამო, რომ ამ სექტორში დასაქმებული პირების ორგანიზება ბევრად რთულია. ამ ყველაფერს აქვს ორი მიზეზი. პირველი ისაა, რომ აშშ-ის სამართალი უშვებს, რომ ეს ადამიანები იყვნენ დამოუკიდებელი კონტრაქტორები და არა დასაქმებულები. აშშ-ის ეროვნული აქტი შრომითი ურთიერთობების შესახებ არ ეხება დამოუკიდებელ კონტრაქტორებს,²³ ხოლო დამოუკიდებელი კონტრაქტორების მცდელობამ, რომ კოლექტიურად იდავონ, შესაძლოა, დაარღვიოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა.²⁴ Gig-ეკონომიკაში მომუშავეების სამართლებრივი სტატუსზე ბევრი დავა მიმდინარეობდა²⁵ და თეორიაც განვითარდა,²⁶ თუმცა ეს განხილვები, მეტწილად, ეხებოდა ანაზღაურებას, სამუშაო დროსა და წახალისებებს²⁷ და არა დამოუკიდებელი კონტრაქტორების პროფკავშირებში გაწევრიანების ან ასეთის შექმნის უფლებას.²⁸

რაც შეეხება მეორე მიზეზს, ეს თვით gig-ეკონომიკაში დასაქმებულების დამოკიდებულებას, რომ ისინი არათუ კოლექტიური ინტერესით გაერთიანებული დასაქმებულები, არამედ დამოუკიდებელი მეწარმეები არიან.²⁹ მაგალითად, Uber-ის მძღოლები თვითონ განსაზღვრავენ სამუშაო გრაფიკს, მუშაობენ მარტონი და მართავენ საკუთარ მანქანებს. თუმცა, *ქეთრინ ფისკმა* აღნიშნა, რომ ჰოლივუდში მოღვაწე მწერლებს უკვე 80 წელია კოლექტიური შეთანხმება აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ gig-ეკონომიკის ნაწილს წარმოადგენენ.³⁰ დამოუკიდებელ, სამეწარმეო და მოკლე-ვადიანი საფუძვლით მომუშავე პირებს შეუძლიათ, აწარმოონ კოლექტიური მოლაპარაკებები, თუ ამისათვის მოტივი, შესაძლებლობა და სამართლებრივი დაცვის გარანტიები ექნებათ.³¹

B. საქართველო

Gig-ეკონომიკისათვის დამახასიათებელი სამართლებრივი ურთიერთობები ქართულ ბაზარზე დიდი სისწრაფით ვითარდება. თუმცა, ამ ზრდის დამადასტურებელი მონაცემები ან სტატისტიკა, დღესდღეობით, არ მოიპოვება. შესაბამისად, მიახლოებული სურათისათვის, მოგვიხდა დაგვაკვირებოდით იმ კომპანიებს, რომლებიც ქართველ მომხმარებელს მოთხოვნაზე დამყარებულ სერვისებს აწვდიან, თუმცა კომპანიებმა უარი განაცხადეს ასეთ თანამშრომლობაზე. ამიტომ, ჩავატარეთ მოკლე არაფორმალური გამოკითხვა საქართველოში, მოთხოვნაზე დამყარებულ ეკონომიკაში დასაქმებულ პირებთან დაკავშირებით.

ამ გამოკითხვების შედეგებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ gig-ეკონომიკაში მომუშავე პირები, მეტწილად, ითვლებიან დამოუკიდებელ კონტრაქტორებად, თუმცა, ფუნქციურად, უფრო დასაქმებულებს ჰგვანან. ასეთი პირების რიცხვი უცნობია, თუმცა საქსტატის 2015 წლის გამოკითხვები აჩვენებს, რომ

²³ NLRA § 2(3); იხ., ასევე NLRB v. United Ins. Co., 390 U.S. 254 (1968) (გამოყენებულ იქნა დავალების ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმები (კონცეფციაზე დაფუძნებული, არაზუსტი თარგმანი) ტექსტში გამოყენებული საერთო სამართლის ტერმინოლოგია - agency law) იმისთვის, რომ გარკვეულიყო დაზღვევის აგენტი დასაქმებული იყო თუ დამოუკიდებელი კონტრაქტორი, NLRA-ის მიხედვით).

²⁴ იხ. *Sanjukta, M. P.*, დასახ. ნაშრომი, მე-3 სქ.; *Fisk, C.*, Hollywood Writers and the Gig Economy, 2017 U. Chi. Legal Forum, 2017. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://legal-forum.uchicago.edu/publication/hollywood-writers-and-gig-economy>>; *Paul, S. M.*, The Enduring Ambiguities of Antitrust Liability for Worker Collective Action, 47 Loy. U. Chi. L.J., 2016, 969, 977; *Kennedy, E.*, Comment, Freedom from Independence: Collective Bargaining Rights for “Dependent Contractors”, 26 Berkeley J. Emp. & Lab. L. 143, 2005, 169-69.

²⁵ იხ. საქმეთა ჩამონათვალი *Cherry, M. A.*, Gig Economy: Settlements Leave Labor Issues Unsettled, May 5, 2016. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <ssrn.com/abstract=2776213>.

²⁶ იხ. მაგალითად, *Cunningham-Parmeter, K.*, From Amazon to Uber: Defining Employment in the Modern Economy, 96 Boston U. L. Rev., 2016, 1673; *Woo, Ch., Bales, R.*, დასახ. ნაშრომი, მე-10 სქ.; *Cherry, M. A.*, Beyond Misclassification: The Digital Transformation of Work, 37 Comparative Lab. L. & Policy J., 2017, 577. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <ssrn.com/abstract=2734288>.

²⁷ *Cherry, M. A.*, დასახ. ნაშრომი, 25-ე სქ.

²⁸ შეად. *Fisk, C.*, დასახ. ნაშრომი 24-ე სქ., (იყენებს ჰოლივუდის მწერალთა საქმეს პრეცედენტული ანალიზისათვის იმ საკითხის გადასაწყვეტად, შეუძლიათ თუ არა gig-ის მსგავს დასაქმებულებს (სამართლებრივი და პრაქტიკული თვალსაზრისით) გაერთიანდნენ პროფკავშირად).

²⁹ *Fisk, C.*, დასახ. ნაშრომი 24-ე სქ., 1; *Dubal, V.*, Wage Slave or Entrepreneur? Contesting the Dualism of Legal Worker Identities, 105 Cal. L. Rev., 2017, 101.

³⁰ *Fisk, C.*, დასახ. ნაშრომი 24-ე სქ., 2.

³¹ იქვე.

საქართველოში დამოუკიდებელი კონტრაქტორების რიცხვი აჭარბებს ტრადიციული შრომითი კონტრაქტების საფუძველზე დასაქმებული პირების რიცხვს.³²

2017 წლის კვლევებმა აჩვენეს, რომ თვითდასაქმებულთა 59% პროცენტი სოფლის მეურნეობის სფეროში საქმიანობს.³³ უცნობია ის სექტორები, რომლებშიც თვითდასაქმებულთა დარჩენილი 41% საქმიანობს.

რაც შეეხება გიგ-ეკონომიკისთვის დამახასიათებელი სამუშაოს ზრდას, იგი თვალშისაცემია, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს. ისეთი კომპანიები, როგორებიცაა Bolt, Maxim, Yandex Taxi, და სხვა, თანდათანობით, იკავებენ ბაზარს, უფრო შესამჩნევი ხდებიან და სწრაფად ფართოვდებიან. ტრანსპორტის სფეროში მოსალოდნელი რეფორმის ფარგლებში, სავარაუდოა, რომ გიგ-ეკონომიკის წილი კიდევ უფრო გაიზრდება.

III. სამართლებრივი დავის მექანიზმების გაფართოება მოთხოვნაზე დამყარებული ეკონომიკის სფეროში დასაქმებული პირებისათვის.

A. ამერიკის შეერთებული შტატები

როგორც მეორე ნაწილშია აღწერილი, აშშ-ში მიმდინარეობს საკმაოდ საფუძვლიანი სამართლებრივი დავები საკითხზე - უნდა იყვნენ თუ დასაქმებულები გიგ-ეკონომიკაში მომუშავე პირები დამოუკიდებელი კონტრაქტორები.³⁴ უთანხმოებათა უმეტესობა სახელფასო განაკვეთს, სამუშაო დროსა და წახალისების შესახება³⁵ და არა იმისზე, ამ მომუშავეებს შეუძლიათ თუ არა გაერთიანებებად ორგანიზება.³⁶ იმისათვის, რომ გიგ-ეკონომიკაში მომუშავე პირები კოლექტიური მოლაპარაკებების უფლებით და მასთან დაკავშირებული უპირატესობით იყვნენ უზრუნველყოფილნი, სამი რამ უნდა გაკეთდეს:

პირველ რიგში, აშშ-ის სასამართლოებმა და შრომითი ურთიერთობების ეროვნულმა საბჭომ (NLRB ან საბჭო) (ფედერალური ადმინისტრაციული სააგენტო, რომელიც პასუხისმგებელია შრომითი ურთიერთობების ეროვნულ აქტის მოქმედებაზე) უნდა უზრუნველყოს, რომ გიგ-ეკონომიკაში მომუშავე პირებზე, მაგალითად, Uber-ის მძღოლებზე, გავრცელდეს აქტის მოქმედება და, ასევე კლასიფიკაციისას, ამ პირებს სხვა შრომით სამართლებრივი სტატუსი მიენიჭოს.³⁷

მეორე, თუ გიგ-ეკონომიკაში მომუშავე პირები დამოუკიდებელი კონტრაქტორებად დარჩებიან, აქტი უნდა შევიდეს ცვლილებები, რათა დავიწროვდეს ან საერთოდ გაუქმდეს მე-2 ნაწილი, რომელიც გამორიცხავს დამოუკიდებელ კონტრაქტორებს³⁸ და ფედერალური ანტიმონოპოლიური კანონმდებლობაც უნდა შესწორდეს იმგვარად, რომ ინტერპრეტაცია არ მოხდეს ისე, თითქოს ისინი დამოუკიდებელ კონტრაქტორებს აძლევენ კოლექტიური მოლაპარაკებების უფლებას.³⁹ როგორც *ქეთრინ ფისკის* ნაშრომი ჰოლივუდში მოღვაწე მწერლების მაგალითზე გვაჩვენებს,⁴⁰ კოლექტიურ მოლაპარაკების უფლება სრულად შეეფერება ისეთ მომუშავეებს, რომლებსა დამოუკიდებელი კონტრაქტორებისთვის დამახასიათებელი ბევრი ნიშანი აქვთ. შესაბამისად, კიდევ ერთი ალტერნატივა არის ის, რომ ეროვნული აქტი შრომითი ურთიერთობების შესახებ შესწორდეს იმგვარად, რომ ის

³² დასაქმება და უმუშევრობა, საქსტატის მონაცემები 2006-2015 წწ., 2015 <<http://www.geostat.ge/>>.

³³ საქართველოს შრომის ბაზრის ანგარიში, Georgian Political and Business Insight, 30 მარტი, 2017. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://bpi.ge/saqartvelos-shromis-bazris-anatomia/>>.

³⁴ იბ. 23-ე-26-ე სქ. წარმოდგენილი ტექსტი.

³⁵ *Cherry, M. A.*, დასახ. ნაშრომი, 25-ე სქ.

³⁶ იბ. 24-ე სქ.-ში წარმოდგენილი ინფორმაცია.

³⁷ იბ. *Eisenbrey, R., Mishel, L.*, Uber business model does not justify a new 'independent worker' category, Economic Policy Institute, March 17, 2016. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<http://www.epi.org/publication/uber-business-model-does-not-justify-a-new-independent-worker-category/>>.

³⁸ NLRA § 2(3). ამან შეიძლება, ასევე მოითხოვოს ტერმინ „დასაქმებულის“ (employee) ჩანაცვლება „მომუშავე“ (worker).

³⁹ ზოგადად, იბ. *Sanjukta, M. P.*, დასახ. ნაშრომი, მე-3 სქ.

⁴⁰ *Fisk, C.*, დასახ. ნაშრომი 24-ე სქ.,

ითვალისწინებდეს დამოუკიდებელი სამუშაოს ახალ კატეგორიას⁴¹ და მომუშავეებს აძლევდეს გაერთიანებისა და კოლექტიური მოლაპარაკების უფლებას ისეთ საკითხებზე, როგორცაა ხელშეკრულების პირობები.

და ბოლოს, უნდა შეიქმნას სათანადო ერთეული გაერთიანებისა და მოლაპარაკების საკითხების სათანადო განხილვის მიზნით. აქტის მე-9(ბ) ნაწილი საბჭოს აძლევს ასეთი ერთეულის განსაზღვრის შესაძლებლობას⁴² და განსაზღვრავს შესაბამის პროცედურებს.⁴³ საბჭომ ეს უნდა გააკეთოს არა მარტო რეალურ სამუშაო ადგილებთან მიმართებით, არამედ - „ვირტუალურთანაც“.

მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა მუშაობდეს ასეთი სისტემა, არის სიეტლში შექმნილი გაერთიანების მსგავსი ასოციაცია.⁴⁴ 2015 წლის დეკემბერში სიეტლის ხელისუფლებამ გამოსცა განკარგულება,⁴⁵ რომელიც დაქირავებულ მძღოლებს ანიჭებს უფლებას გაერთიანდნენ და აირჩიონ წარმომადგენლები კოლექტიური მოლაპარაკებებისათვის უკეთეს სამუშაოებზე პირობებზე იმ კომპანიებთან, რომლებიც მათ საქმიანობას მართავენ. ამ დოკუმენტის მიზანი იყო „მმართველ კომპანიებსა და მათზე მიმაგრებულ მძღოლებს შორის, მოლაპარაკებისას, უფლებების გათანაბრება.“⁴⁶ ქალაქის საკრებულომ განაცხადა, რომ:

ისეთ ბიზნეს მოდელებში, სადაც კომპანიები აკონტროლებენ მძღოლების სამუშაოს გარკვეულ ასპექტებს, მაგრამ, ამავედროულად, მძღოლებს განიხილავენ როგორც დამოუკიდებელ კონტრაქტორებს, ართმევენ მათ იმ შრომით სამართლებრივ უპირატესობებს, რომლებიც სიეტლმა შემოიღო მოქალაქეების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. ასეთი ქმედებები აზნინეს სიეტლის მცდელობას შექმნას თანაბარი სამუშაო პირობები ქალაქში დასაქმებული ყველა პირისათვის.⁴⁷

სიეტლის განკარგულება აწესებს პროცედურას (1) ორგანიზაციებისთვის, რომ დარეგისტრირდნენ მძღოლების კვალიფიციურ წარმომადგენლებად (QDR) და (2) მძღოლებს ანიჭებს უფლებას რომელიმე ასეთ ორგანიზაციაში გაერთიანდნენ, რათა ეს ორგანიზაცია იყოს მათი ექსკლუზიური წარმომადგენელი კონკრეტულ კომპანიებთან ურთიერთობისას.⁴⁸ წარმომადგენელი გახდება ექსკლუზიური, თუ განცხადებას წარუდგენს ქალაქის ფინანსებისა და ადმინისტრაციული სერვისების დირექტორს (დირექტორს) „სადაც მკაფიოდ დადასტურებული იქნება ინტერესი იმ მძღოლების მხრიდან, რომლებსაც უნდათ, რომ ეს კონკრეტული პირი წარმოადგენდეს მათ ინტერესებს კოლექტიური მოლაპარაკებებისას“⁴⁹.

როდესაც ექსკლუზიურ წარმომადგენელს მიენიჭება უფლებამოსილება, კომპანიასთან მოლაპარაკებისას უნდა შეთანხმდნენ ისეთ საკითხებზე, როგორცაა ავტომობილის სტანდარტები, უსაფრთხო მართვის წესები, ანაზღაურების ხასიათი და ოდენობა, მინიმალური სამუშაო დრო და წესები.⁵⁰ შეთანხმება უნდა გაფორმდეს წერილობით⁵¹ და უნდა დაადასტუროს დირექტორმა,⁵² რის შემდეგაც, შეთანხმება ყველა მხარისათვის

⁴¹ *ob. Harris, S. D., Krueger, A. B., A Proposal for Modernizing Labor Laws for Twenty-First Century Work: The “Independent Worker”, The Hamilton Project Discussion Paper 2015-10.*

⁴² 29 U.S.C. § 159(b) (“ამ აქტით [ქვე-თავით] გარანტირებული უფლებების სრული რეალიზაციის თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით, საბჭომ თითოეულ საქმეში უნდა განსაზღვროს, რომ იარსებებს კოლექტიურ მოლაპარაკებაზე უფლებამოსილი ერთეული - მოხელეთა ერთეული (craft unit), საწარმოს ერთეული ან ქვეგანყოფილება შესაბამისად“).

⁴³ იქვე.

⁴⁴ ზოგადად *ob. Van Wezel Stone, K., Unions in the Gig and On-Demand Economy, American Prospect (forthcoming Winter 2017); Sanjukta, M. P.,* დასახ. ნაშრომი, მე-3 სქ., Part I.A; Council Unanimously Adopts First-of-its-Kind Legislation to Give Drivers a Voice on the Job, Seattle City Council Press Release, Dec. 14, 2015. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://www.seattle.gov/council/issues/giving-drivers-a-voice>>.

⁴⁵ City of Seattle, Council Bill 118499, Dec. 14, 2015, amending Seattle Municipal Code § 6.310.110 and adding new § 6.310.735.

⁴⁶ City of Seattle, Council Bill 118499 §1(J).

⁴⁷ იქვე, §1(H).

⁴⁸ იქვე, § 2.

⁴⁹ იქვე, § 3(F)(1).

⁵⁰ იქვე, § 3(H).

⁵¹ იქვე.

⁵² იქვე, § 3(H)(2).

ხდება სავალდებულო.⁵³ თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან, განკარგულებით, დაიშვება არბიტრაჟის შესაძლებლობასაც.⁵⁴

2016 წლის მარტში აშშ-ის სავაჭრო პალატამ უჩივლა ქალაქ სიეტლს ფედერალურ სასამართლოში მოთხოვნით, რომ განკარგულების კანონთან შეუსაბამოდ აღიარებისა და მისი მოქმედების შეჩერების მიზნით.⁵⁵ სარჩელში პალატა დაობდა, რომ განკარგულება ეწინააღმდეგებოდა *შერმანის* ანტიმონოპოლიურ აქტს და უპირატესობას ანიჭებდა ეროვნულ აქტს შრომითი ურთიერთობების შესახებ. აგვისტოში სასამართლომ შეწყვიტა საქმის განხილვა, იმ საფუძველით, რომ, რადგან განკარგულება ჯერ კიდევ არ მოქმედებდა, პალატას ამით არანაირი ზიანი არ მისდგომია და, შესაბამისად, არ ჰქონია საჩივრის საფუძველი.⁵⁶ მოსამართლემ პალატას „ღია კარი“ დაუტოვა, რათა მოგვიანებით საქმის წარმოება განახლებულიყო საჭიროების შემთხვევაში. 2016 წელს განკარგულება ძალაში შევიდა და პალატამაც მყისიერად შეიტანა სარჩელი.

სიეტლის განკარგულება ცხადყოფს, რომ გიგ-ეკონომიკა სრულ თანხვედრაშია კოლექტიური მოლაპარაკებების პრინციპებთან. ირონიულია ის ფაქტი, რომ საბჭოს ან სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომ გიგ-ეკონომიკაში მომუშავე პირები დასაქმებულები არიან, რომლებსაც იცავთ ეროვნული აქტი შრომით სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ, შედეგად ამ აქტის ჩანაცვლებას მოიტანდა. თუმცა, სიეტლის განკარგულება არის მცირე იმედი გიგ-ეკონომიკაში დასაქმებულებისათვის მთელი ქვეყნის მასშტაბით.

B. საქართველო

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩვენი მცდელობა კომპანიებისაგან მოგვეპოვებინა ინფორმაცია, წარუმატებელი აღმოჩნდა. საბოლოო ჯამში, ჩავატარეთ დამოუკიდებელი კვლევა, რომლის ფარგლებშიც გიგ-ეკონომიკაში მომუშავე პირები გამოიკითხნენ. რესპოდენტებმა შემდეგ კითხვებს უპასუხეს: როგორ უკავშირდებიან კომპანიებს? არ პროცედურებია ლიცენზიის მისაღებად? დასაქმებულები არიან თუ დამოუკიდებელი კონტრაქტორები? რა არის მათი ძირითადი უფლებები და მოვალეობები? ვინ განსაზღვრავს რა დროით და კვირის რამდენი დღის განმავლობაში უნდა იმუშაონ? უნდა შეატყობინონ თუ არა კომპანიას, რომ შვებულებაში სურთ გასვლა? არის თუ არა წამახალისებელი სისტემა დანერგილი? და ბოლოს, კომპანიასთან აფილირების სანაცვლოდ, რას იღებენ?

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აშშ-ის მსგავსად ქართულ ბაზარზე არსებული გიგ-კომპანიები დაკავშირებულ პირებს დამოუკიდებელ კონტრაქტორებად აკვალიფიცირებენ. ბევრ წილად, მართლაც ასეა, თუმცა სხვა მრავალი ასპექტით, ეს პირები კლასიკურ დასაქმებულებს ჰგვანან.

რადგანაც Uber-ი და Grab-ი აშშ-ში გიგ-ეკონომიკისათვის დამახასიათებელი სამუშაოს მაგალითებია, საქართველოშიც იმავე ტიპის კომპანიები გამოვიკვლიეთ. ასეთ კომპანიებს თავიანთი ხელშეკრულებები ვებ-გვერდებზე აქვთ გამოქვეყნებული და ისინი ხელმისაწვდომია ყველასათვის. ნებისმიერი მათგანი ავალდებულებს მძღოლებს ხელი მოაწერონ სალიცენზიო ხელშეკრულებას.⁵⁷ პროცედურა იწყება მძღოლის მიერ ონლაინ აპლიკაციის შევსებით, სადაც იგი ძირეულ ინფორმაციას აწვდის კომპანიას. შემდეგ მძღოლი უნდა დარეგისტრირდეს კომპანიაში და აპლიკაციაში, რომლის მეშვეობითაც, კომპანია მძღოლზე სამუშაოს გაანაწილებს; თუმცა, ვიდრე მძღოლი სამსახურს დაიწყებს, უნდა

⁵³ იქვე, § 3(H)(2)(a).

⁵⁴ იქვე, § 3(I).

⁵⁵ Case No. 2:16-cv-00322 (W.D. Wash., filed March 3, 2016); *Beekman, D.*, Chamber of Commerce Sues Seattle over Allowing Uber-driver Unionizing, *The Seattle Times*, March 3, 2016. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<http://www.seattletimes.com/seattle-news/politics/chamber-of-commerce-sues-seattle-over-allowing-uber-driver-unionizing/>>.

⁵⁶ *Beekman, D.*, Judge Tosses U.S. Chamber's Suit Against Seattle over Uber Union Law, Calling it Premature, *The Seattle Times*, Aug. 9, 2016. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<http://www.seattletimes.com/seattle-news/politics/judge-tosses-chambers-suit-against-seattle-over-uber-law/>>.

⁵⁷ ზოგიერთი კომპანია მძღოლებს კომპანიის მანქანებით უზრუნველყოფს, თუმცა მძღოლების უმეტესობა საკუთარი მანქანებით გადაადგილდება. სტატიაში ეს უკანასკნელი კატეგორიაა განხილული.

გაიაროს გასაუბრება. გასაუბრების შემდეგ, მას შეატყობინებენ შეუძლია თუ არა მუშაობას შეუდგეს.

ეს გასაუბრება არაა ერთადერთი მსგავსება გიგ-ეკონომიკაში მომუშავეებსა და ჩვეულებრივ დასაქმებულებს შორის. აღმოჩნდა, რომ ეს პირები იმაზე ნაკლები დამოუკიდებლობით სარგებლობენ, ვიდრე სხვა დამოუკიდებელი კონტრაქტორები. მაგალითად:

- მძღოლებს აქვთ უფლება შეარჩიონ მარშრუტი, თუმცა ის უნდა იყოს ყველაზე იაფი ალტერნატივა, თუ მომხმარებელი სხვაგვარად არ მოითხოვს;
- მძღოლებმა თავი უნდა შეიკავონ საუბრის წამოწყებისგან, თუ მგზავრი თვითონ არ დაიწყებს საუბარს;
- მძღოლებს აქვთ ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდნენ;
- შვებულებასთან დაკავშირებით მძღოლებმა უნდა შეატყობინონ კომპანიებს, სხვაგვარად ეს მათ შეფასებაზე აისახება;
- მძღოლებს არ აქვთ წინასწარგანსაზღვრული სამუშაო გრაფიკი, მაგრამ, თუ ისინი არა საკმარისად იმუშავენ, ეს მათ რეიტინგსა და შეფასებაზე ცუდად აისახება;
- ასევე, მძღოლებს შეუძლიათ არ აიყვანონ აპლიკაციის მიერ მათზე განპიროვნებული მგზავრი, მაგრამ ეს შეფასებაზე აისახება;
- თუ მძღოლს აქვს დაბალი რეიტინგი, კომპანია უფლებამოსილია, შეწყვიტოს ხელშეკრულება.
- მძღოლები აპლიკაციის გამოყენებისათვის საკომისიო იხდიან. ეს უზრუნველყოფს, რომ მძღოლებმა კომპანიისაგან მიიღონ შეკვეთები მგზავრთა გადაყვანაზე, ხოლო მგზავრებმა მიღებული მომსახურებისათვის გადაიხადონ.
- ზოგიერთი კომპანია მძღოლებისათვის მოქმედებს როგორც საგადასახადო აგენტი.⁵⁸

ზემოთ ჩამოთვლილი წესები არის უზოგადესი და ყველა კომპანიაში, მეტ-ნაკლებად, ერთგვარია. კომპანიები ამ პირებს თვითდასაქმებულებად მოიაზრებენ. გაფორმებულ დოკუმენტებში ცალსახაა, რომ არ იდება შრომითი ხელშეკრულება. ეს მომუშავე პირები ტრადიციულ დასაქმებულებზე მეტი თავისუფლებით სარგებლობენ (მაგ., შეუძლიათ განსაზღვრონ საკუთარი სამუშაო საათები), მაგრამ ისინი თავისუფლებიც არ არიან ისე, როგორც დამოუკიდებელი კონტრაქტორები და დასაქმებულების მსგავსად, ხელშეკრულების სუსტ მხარეს წარმოადგენენ. საბოლოო ჯამში, აშშ-ის მსგავსად, საქართველოშიც გიგ-ეკონომიკაში მომუშავეები „შუალედური“ [ხასიათის] უფლებებით სარგებლობენ.

გიგ-ეკონომიკაში მომუშავეთა კატეგორია არსადაა ნახსენები ქართულ კანონმდებლობაში. ეს სექტორი საქართველოში იმდენად ახალია, რომ სასამართლო პრაქტიკაც არ არსებობს. ამასთან, გიგ-ეკონომიკაში მომუშავეებს, ჯერჯერობით, არ შეუქმნიათ პროფკავშირები.

საქართველოში პროფკავშირებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვთ შრომით ურთიერთობებში და ეს ძლიერ მექანიზმია შრომით მოლაპარაკებებში სასურველი შედეგის მისაღწევად. მათი როლი ისეთივე მნიშვნელოვანი იქნებოდა გიგ-ეკონომიკის სექტორისათვის, როგორც ტრადიციული დასაქმებულებისთვისაა.

გაერთიანებების და, კერძოდ, პროფკავშირების შექმნა და მასში გაწევრიანება კონსტიტუციური უფლებაა საქართველოში.⁵⁹ ეს ხაზს უსვამს ასეთი ორგანიზაციების მნიშვნელობას და, ასევე მოწესრიგებულია საქართველოს ორგანული კანონით შრომის

⁵⁸ 2010 წლის საქართველოს №3591 კანონი საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მე-20 მუხლი, მე-2 ნაწილი - საგადასახადო აგენტი არის პირი, რომელმაც ამ კოდექსით დადგენილ შემთხვევაში და დადგენილი წესით უნდა შეასრულოს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულება.

⁵⁹ საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლი (2018 წლის №20171 კონსტიტუციური კანონით განხორციელებული ცვლილების შედეგად მიღებული რედაქციით).

კოდექსი, რომლის მთლიანი თავი ეთმობა გაერთიანების [შრომის სფეროში] თავისუფლებას.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ეროვნული კანონმდებლობა თანხვედრაში უნდა იყოს ყველა საერთაშორისო კონვენციასთან, რომლებსაც ქვეყანამ ხელი მოაწერა და რომლებიც არ ეწინააღმდეგება ქვეყნის კონსტიტუციას.⁶⁰ შედეგად, საქართველოსთვის რამდენიმე საერთაშორისო დოკუმენტს აქვს უდიდესი გავლენა შრომის კანონმდებლობაზე.

საქართველო არის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ხელმომწერი ქვეყანა. ეს დოკუმენტი უზრუნველყოფს მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებას, ასევე მშრომელთა უფლებას ჩამოაყალიბონ და გაერთიანდნენ პროფკავშირებში თავიანთი ინტერესების, როგორც უნივერსალური უფლების დასაცავად.⁶¹

1999 წლის 23 ივნისს, საქართველოში ძალაში შევიდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 87-ე კონვენცია შეკრების თავისუფლებასა და გაერთიანების უფლების დაცვის შესახებ.⁶² კონვენციის რატიფიცირებით საქართველომ აიღო ვალდებულება, რომ სხვადასხვა სექტორში დასაქმებული პირები ისარგებლებდნენ გაერთიანებების შექმნისა და მათში გაწევრიანების უფლებით.⁶³ 2005 წლის 1 ივლისს, საქართველოს პარლამენტმა მოახდინა ევროპის სოციალური ქარტიის რატიფიკაცია.⁶⁴ დოკუმენტის მე-5 მუხლი უზრუნველყოფს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა არ შეცვალონ შრომის კანონმდებლობა იმგვარად, რომ შეიზღუდოს დამსაქმებელთა და დასაქმებულთა უფლება შეუერთდნენ ეროვნულ და საერთაშორისო პროფესიულ ორგანიზაციებს (გაერთიანების უფლება)

უფრო მეტიც, რადგანაც პროფკავშირები მაღალი საჯარო ინტერესის საგანია, საქართველოში არსებობს ცალკე კანონი „პროფკავშირების შესახებ“.

საქართველოს კონსტიტუცია გაერთიანებების შექმნისა და მათში გაწევრიანების უფლებას საყოველთაოდ უზრუნველყოფს, ამასთანავე საქართველოს შრომის კოდექსის 40¹ მუხლი ამბობს, რომ დასაქმებულებსა და დამსაქმებლებს აქვთ უფლება ჩამოაყალიბონ და შეუერთდნენ პროფესიულ კავშირებს. საქართველოს კანონი „პროფკავშირების შესახებ“ იმეორებს⁶⁵ კონსტიტუციურ დანაწესს და ამატებს, რომ გაერთიანება შეიძლება შეიქმნას ნებისმიერ საწარმოში, ინსტიტუციასა თუ ორგანიზაციაში.⁶⁶

ქვეყნის უზენაესი კანონიც და სპეციალური კანონიც საკმაოდ მოქნილია იმისათვის, რომ შეითავსოს არატრადიციული შრომითი ურთიერთობების რეგულირება - ისეთი ურთიერთობების, რომლებიც რომელიმე კონკრეტულ კლასიფიკაციაში ვერ ხვდებიან; თუმცა, საქართველოს შრომის კოდექსში („შკ“), გარკვევით განისაზღვრება, რომ გაერთიანებების დაარსება და მათში გაწევრიანება დამსაქმებლისა და დასაქმებულის პრეროგატივაა.⁶⁷ რადგანაც კოდექსი განმარტავს ვინ შეიძლება იყოს დამსაქმებელი და ვინ დასაქმებული,⁶⁸ შედეგად ვიღებთ იმ მდგომარეობას, რომ ის მომუშავე პირები, რომლებიც დასაქმებულები არ არიან, თუმცა გარკვეული შეზღუდვები აქვთ კონტრაქტორების მხრიდან, ვერ ისარგებლებენ საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო

⁶⁰ კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი.

⁶¹ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) მე-11 მუხლი. ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.echr.coe.int/Documents/Convention_ENG.pdf>.

⁶² საქართველოს პარლამენტის 1999 წლის №2144 დადგენილება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 87-ე კონვენციის - შეკრების თავისუფლებასა და გაერთიანების უფლებაზე - რატიფიკაციის შესახებ.

⁶³ მე-2 მუხლი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის („შსო“) 1948 წლის 87-ე კონვენცია შეკრების თავისუფლებისა და გაერთიანების უფლების დაცვის შესახებ.

⁶⁴ საქართველოს პარლამენტის 2005 წლის №1876 დადგენილება ევროპის სოციალური ქარტიისა და მისი დანართის რატიფიკაციის შესახებ.

⁶⁵ საქართველოს 2018 წლის №3825-ის კანონი პროფესიული კავშირების შესახებ, მუხლი 2(2).

⁶⁶ მუხლი 2(3).

⁶⁷ შკ-ის (საქართველოს 2010 წლის № 4113-ის ორგანული კანონი) მე-40¹ მუხლი.

⁶⁸ მე-3 მუხლი.

შეთანხმებებით მათთვის მინიჭებული გაერთიანების თავისუფლებით. Gig-ეკონომიკაში დასაქმებულები არცერთ კატეგორიას არ მიეკუთვნებიან, გარდა თვითდასაქმებულებისა; თუმცა, როგორც აღინიშნა, სრულად არც ამ კატეგორიას შეესაბამებიან. მამასადამე, დღევანდელი საკანონმდებლო რეგულირების გათვალისწინებით, სასამართლოებს აქვთ უდიდესი მნიშვნელობა იმის გადაწყვეტაში, აქვთ თუ არა ამ სექტორში მომუშავეებს გაერთიანების შექმნისა და მათში გაწევრიანების უფლება.

IV. სისტემური მიდგომა gig-ეკონომიკის დასარეგულირებლად

როგორც ზემოთ აღიწერა, gig-ეკონომიკაში დასაქმებულები მკაფიოდ არც დასაქმებულთა და არც თვითდასაქმებულთა კატეგორიას არ ერგება. გარკვეულწილად, ეს საკმარის მოძველებული საკითხია, რომელიც, ბოლო დროს, უფრო აქტუალური გახდა სექტორის ზრდის ტემპის გამო. როგორც მეორე ნაწილშია აღწერილი, აშშ-ში სრულ განაკვეთიანი და განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულებების ჩანაცვლება მერყევი ხელშეკრულებებით 10 წლით ადრე დაიწყო, ვიდრე ამისათვის ონლაინ პლატფორმები გაჩნდებოდა და კიდევ უფრო დააჩქარებდა ზრდის ტენდენციას. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო შრომითსამართლებრივ დავაში მიღებული გადაწყვეტილება ეხებოდა არასტანდარტული სამუშაოს ყველაზე ძველ სახეს - მიგრანტთა სოფლის მეურნეობის დარგში საქმიანობას; განიხილებოდა მომუშავენი დასაქმებულები იყვნენ თუ დამოუკიდებელი კონტრაქტორები.⁶⁹ ამ საქმის შედეგი დიდ გაურკვევლობას წარმოშობს⁷⁰ იმასთან დაკავშირებით, თუ სად გადის ზღვარი დასაქმების ამ ორ სახეს შორის. პროფესორი *ორლი ლობელი* ზუსტად აჯამებს აშშ-ის სამართლის პრობლემატიკას, როდესაც ამბობს, რომ ის კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენება კატეგორიების დასადგენად „დამაზუსტებელია, საჭიროა მათი მისადაგება თითოეული საქმის გარემოებებისათვის, ეყრდნობა მრავალმნიშვნელოვან ფაქტორებს და, ხშირად, უკუაგდება ხელშემკვრელი მხარეების მიერ განსაზღვრულ სტატუსს.“⁷¹

ერთ-ერთი შესაძლო გამოსავალი არის ის, რომ გამარტივდეს კლასიფიკაციის კრიტერიუმები. 2015 წელს აშშ-ის შრომის დეპარტამენტმა გამოსცა ახალი სახელმძღვანელო პრინციპები დამოუკიდებელი კონტრაქტორების კვალიფიკაციისათვის.⁷² დეპარტამენტის სახელმძღვანელო ეყრდნობა სამართლიანი შრომის სტანდარტების შესახებ აქტს, რომელიც, სხვა მრავალ საკითხთან ერთად, აწესრიგებს მინიმალური ხელფასის, აწესებს სავალდებულო ზეგანაკვეთური ანაზღაურების ოდენობას და, ასევე, მეტწილად, კრძალავს ზავშვთა შრომას. აქტით „დასაქმება“ ფართოდ განიმარტება და ეს არის „სამსახურში დაშვება“.⁷³ ახალი სახელმძღვანელო აფართოებს ზემოთ ხსენებული აქტის სამართლებრივ დაცვას იმ კრიტერიუმების დავიწროებით, რომლებიც გამოიყენება პირის დამოუკიდებელ კონტრაქტორად კვალიფიკაციისათვის.⁷⁴

მეორე პოტენციური გამოსავალი არის ის, რომ მთლიანად გაუქმდეს დასაქმებულისა და დამოუკიდებელი კონტრაქტორის სტატუსი და, შედეგად, მომუშავეთა ყველა კატეგორია იყოს დაცული.⁷⁵ აშშ-ში ზოგიერთი სტატუტი უკვე ასახავს ამ იდეას. მათ

⁶⁹ Secretary of Labor, U.S. Dept. of Labor v. Lauritzen, 835 F.2d 1529 (7th Cir. 1987).

⁷⁰ იქვე, (მულტი-ფაქტორული ტესტის შემუშავება, რომელშიც მახასიათებლები აუწონელია და, უმეტეს შემთხვევაში, შესაძლოა შეფასდეს სხვადასხვაგვარად).

⁷¹ *Lobel, O.*, The Gig Economy and the Future of Employment and Labor Law, March 2016, 8. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<http://ssrn.com/abstract=514132>>.

⁷² U.S. Dep't of Labor, Wage & Hour Div., Administrator's Interpretation No. 2015-1 (July 15, 2015). ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.dol.gov/whd/workers/Misclassification/AI-2015_1.htm>.

⁷³ FLSA, 29 U.S.C. § 2033(g).

⁷⁴ იქვე; *Lobel, O.*, დასახ. ნაშრომი, 71-ე სქ., 9.

⁷⁵ იხ. *Dau-Schmidt, K. G.*, The Impact of Emerging Information Technologies on the Employment Relationship: New Gigs for Labor and Employment Law, 2017 U. Chi. Legal Forum 63, 2018. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2951967>. წყაროში შემოთავაზებულია, რომ „დრომოქმული

შორის ისეთი ფინანსური სტატუტები, როგორცაა დოდი ფრენკისა და სერბენ ოქსლის აქტები.⁷⁶ ამის მსგავსად, ვაშინგტონის კანონი დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ, კრძალავს დასაქმებულთა დისკრიმინაციას მათ სტატუსზე დაყრდნობით.⁷⁷

მესამე პოტენციური გამოსავალი შეიძლება იყოს ის, რომ გაჩნდეს ახალი, შუალედური კატეგორია. მაგალითად, *სეთ ჰარისი* და *ალან კრუგერი* გვთავაზობენ „დამოუკიდებელი მომუშავეების“ კატეგორიას და ამტკიცებენ, რომ მათ უნდა ჰქონდეთ გაერთიანებისა და კოლექტიური მოლაპარაკების უფლება.⁷⁸ სავარაუდოდ, ასეთი შუალედური სტატუსის მქონე პირები ყველა კანონით ვერ იქნებიან დაცულნი. ამ მიდგომა ორი დიდი გამოწვევის წინაშე დგას: (1) უნდა გადაწყდეს, ეს პირები რომელი სამართლებრივი დაცვის მექანიზმებით ისარგებლებენ; (2) უნდა შეიქმნას კლასიფიკაციის სისტემა, რომელიც მათ მკაფიოდ გამოარჩევს დამოუკიდებელი კონტრაქტორებისა და დასაქმებულებისაგან.

საქართველოში არ მოიპოვება ინფორმაცია სასამართლო დავების შესახებ, რომლებიც უშუალოდ გიგ-ეკონომიკაში დასაქმებულთა სტატუსს უკავშირდება. არც კანონმდებლობით ხდება ზუსტი რეგულირება. თუმცა, თუ მხედველობაში მივიღებთ სექტორის ზრდის ტემპს, თვალსაჩინო გახდება, რომ, ადრე თუ გვიან, რეგულირება აუცილებელი იქნება.

ქართული კანონმდებლობით, განსაზღვრულია იმ კრიტერიუმთა ერთობლიობა, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია, დადგინდეს კონკრეტული შრომითი ურთიერთობა რომელ კატეგორიას მიეკუთვნება. ეს კრიტერიუმებია: ორგანიზებული მოწესრიგების პირობები; დამსაქმებლის მიერ დასაქმებულზე ანაზღაურების გაცემა; გრძელვადიანი ურთიერთობა; ქვემდებარეობა, და ბოლოს, მითითების უფლება. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, დასაქმებულის სტატუსი მაინც გაურკვეველი რჩება - არ არის დაკონკრეტებული, იგულისხმება, კლასიკური გაგებით დასაქმებული, თუ, ასევე ის პირიც, რომელიც კონკრეტულ დავალებას ასრულებს ანაზღაურების სანაცვლოდ.⁷⁹

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს პირის ვალდებულებას დაემორჩილოს დაწესებულების შიდა რეგულაციას, ესეც შესაძლოა, დაკვალიფიცირდეს შრომით ურთიერთობად.⁸⁰ საქმე, სწორედ, ამ ასპექტის გათვალისწინებით არის მნიშვნელოვანი გიგ-ეკონომიკაში დასაქმებული პირებისათვის, რადგან მათ შემთხვევაში კომპანიის მიერ დადგენილ წესებზე ხდება თანხმობის გამოხატვა.

როგორც აშშ-ში, ისე საქართველოშიც გიგ-ეკონომიკაში დასაქმებულები გაურკვეველ მდგომარეობაში არიან. ყველაზე თვალსაჩინო ეს მდგომარეობა მაშინ ხდება, როდესაც ამ პირებმა კომპანიებს შეტყობინება უნდა გაუგზავნონ შევებულების თაობაზე, ან მაშინ, როდესაც სამუშაო უნდა მიიღონ იმ ფორმით, როგორც ამას კომპანია სთავაზობთ, რათა რეიტინგი შეინარჩუნონ ან მაშინ, როდესაც ანაზღაურებას იღებენ.

დეფინიცია დასაქმებულზე და იმაზე თუ ვინაა „დამოუკიდებელი კონტრაქტორი“ უნდა გაუქმდეს „ფართო“, ალბათ, უნივერსალური მუშაკის სასარგებლოდ“.

⁷⁶ *Lobel, O.*, დასახ. ნაშრომი, 70-ე სქ., 9.

⁷⁷ Wash. Rev. Code § 49.60.040; *Marquis v. City of Spokane*, 922, 43, 45 (Wash. 1996) (კანონის ინტერპრეტაცია იმდაგვარად, რომ გავრცელდეს ყველა სახის შრომით ურთიერთობებზე); ასევე, იხ. *D'Annunzio v. Prudential Ins. Co. of America*, 927 A.2d 113, 123 (N.J. 2007) (მუშაკის „განგაშზე დაფუძნებული“ დაცვის (whistleblower protection to worker) უზრუნველყოფა, მიუხედავად დასაქმების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, პირის დასაქმებულად თუ მენარდედ [ქართულ გამოცემაზე დაყრდნობით, თარგმანი] კვალიფიკაციისა).

⁷⁸ *Harris S. D., Krueger, A. B.*, A Proposal for Modernizing Labor Laws for Twenty-First Century Work: The “Independent Worker”. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.hamiltonproject.org/papers/modernizing_labor_laws_for_twenty_first_century_work_independent_worker>.

⁷⁹ საქართველოს შრომის კოდექსის კომენტარი, *ბორონი* ა. რედ., მერიდიანი, თბილისი, 2016.

⁸⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, საქმე №ას-1129-1156-2011, 10 ოქტომბერი, 2011.

მიუხედავად იმისა, თუ რა მიდგომას ავირჩევთ, საბოლოოდ, მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნებმა ერთგვარად ერთმანეთთან შესაბამისობაში მოიყვანონ საკანონმდებლო რეგულირება. არ არის აუცილებელი, რომ ერთი ქვეყნის შრომის კანონმდებლობა მეორე ქვეყნის შრომის კანონმდებლობის ზუსტი ანალოგი იყოს, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ გიგ-ეკონომიკაში დასაქმებულებმა მიიღონ გარკვეული სახის შრომითი უფლებები.

საქართველოში ხელისუფლებას შეუძლია, ან ახლავე დაარეგულიროს აღნიშნული სექტორი, ან მოგვიანებით, როდესაც უფრო აქტუალური გახდება. მიუხედავად იმისა, საქართველო შექმნის თუ არა ახალ კატეგორიას ან რომელიმე არსებულ კატეგორიას მიაკუთვნებს ამ პირებს, მხოლოდ ისაა მნიშვნელოვანი, რომ [მომუშავეებს] სამართლებრივი დაცვა ჰქონდეთ გარანტირებული. ამ პროცესში სასამართლო ხელისუფლების ჩართულობა მეტად მნიშვნელოვანია, იმისათვის, რომ არსებულ კანონმდებლობაში თავისუფალი სივრცეები შეავსოს.

საქართველოსათვის ალტერნატივა არის ის, რომ მთლიანად სექტორმა დაარეგულიროს საკუთარი თავი,⁸¹ თუმცა ასეთი მიდგომა მთლიანად მოშლის შრომით-სამართლებრივ სტანდარტებს და ძლიერ დააზარალებს დასაქმებულებს.

ბიბლიოგრაფია

1. *Beekman, D.*, Chamber of Commerce Sues Seattle over Allowing Uber-driver Unionizing, *The Seattle Times*, March 3, 2016.
2. *Beekman, D.*, Judge Tosses U.S. Chamber’s Suit Against Seattle over Uber Union Law, Calling it Premature, *The Seattle Times*, Aug. 9, 2016.
3. Bureau of Labor Statistics News, Contingent and Alternative Employment Arrangements, February 2005, USDL 05-1433 (July 27, 2005), 1.
4. *Cherry, M. A.*, Beyond Misclassification: The Digital Transformation of Work, 37 *Comparative Lab. L. & Policy J.*, 2017.
5. *Cherry, M. A.*, Gig Economy: Settlements Leave Labor Issues Unsettled, May 5, 2016.
6. *Cunningham-Parmer, K.*, From Amazon to Uber: Defining Employment in the Modern Economy, 96 *Boston U. L. Rev.*, 2016.
7. *Dau-Schmidt, K. G.*, The Impact of Emerging Information Technologies on the Employment Relationship: New Gigs for Labor and Employment Law, 2017 *U. Chi. Legal Forum* 63, 2018.
8. *Dubal, V.*, Wage Slave or Entrepreneur? Contesting the Dualism of Legal Worker Identities, 105 *Cal. L. Rev.*, 2017.
9. *Eisenbrey, R. Mishel, L.*, Uber business model does not justify a new ‘independent worker’ category, Economic Policy Institute, March 17, 2016.
10. *Fisk, C.*, Hollywood Writers and the Gig Economy, 2017 *U. Chi. Legal Forum*, 2017.
11. *Harris, S. D., Krueger, Alan, B.*, A Proposal for Modernizing Labor Laws for Twenty-First Century Work: The “Independent Worker”, The Hamilton Project Discussion Paper 2015-10.
12. *Hathaway I., Muro, M.*, Tracking the gig economy: New numbers, Brookings Institute Report, Oct. 13, 2016.
13. *Kennedy, E.*, Comment, Freedom from Independence: Collective Bargaining Rights for “Dependent Contractors”, 26 *Berkeley J. Emp. & Lab. L.* 143, 2005.
14. *Lobel, O.*, The Gig Economy & The Future of Employment and Labor Law, 51 *USF L. Rev.*, 2016.
15. *Lobel, O.*, The Gig Economy and the Future of Employment and Labor Law, March 2016.
16. *Murray, P., Gillibrand, K.*, Contingent Workforce: Size, Characteristics, Earnings, and Benefits, S. Doc. No. GAO-15-168R, at 4 (2015).

⁸¹ იხ., მაგალითად, *Bales, R.*, Explaining the Spread of At-Will Employment as an Inter-Jurisdictional Race-to-the-Bottom in Employment Standards, 75 *Tenn. L. Rev.* 453. 2008.

17. *Neuner, J.*, 40% of America's Workforce Will Be Freelancers by 2020, Quartz, Mar. 20, 2013; *Miller, R.*, Half of All Workers Could be Freelance by 2020, Startup Donut, June 26, 2015.
18. *Paul, S. M.*, The Enduring Ambiguities of Antitrust Liability for Worker Collective Action, 47 Loy. U. Chi. L.J., 2016.
19. *Perez, T.*, Innovation and the Contingent Workforce, U.S. Dep't Labor Blog, Jan. 25, 2016.
20. *Sanjukta, M. P.*, Uber as For-Profit Hiring Hall: A Price-Fixing Paradox and its Implications, 38 Berkeley, J. Employ. & Lab. L. 233, 2017.
21. *Steinmetz, K.*, Exclusive: See How Big the Gig Economy Really Is, Time, Jan. 6, 2016.
22. *Stone, K. V.W.*, From Widgets to Digits: Employment Regulation for the Changing Workplace, 2004;
23. *Torpey, E., Hogan, A.*, Working in a gig economy, Bureau of Labor Statistics Career Outlook, May 2016.
24. *Van Wezel Stone, K.*, Unions in the Gig and On-Demand Economy, American Prospect (forthcoming Winter 2017); Council Unanimously Adopts First-of-its-Kind Legislation to Give Drivers a Voice on the Job, Seattle City Council Press Release, Dec. 14, 2015.
25. *Woo, Ch., Bales, R.*, The Uber Million Dollar Question: Are Uber Drivers Employees or Independent Contractors?, 68 Mercer L. Rev., 2017, 461.
26. დასაქმება და უმუშევრობა, საქსტატის მონაცემები 2006-2015 წწ.
27. საქართველოს შრომის ბაზრის ავტონომია, Georgian Political and Business Insight, 30 მარტი, 2017.
28. საქართველოს შრომის კოდექსის კომენტარი, *ბორონი, ა.* რედ., მერიდიანი, თბილისი, 2016.

Legal Responses to the Rise of the On-Demand Economy in Georgia and the United States

Abstract

Are gig-economy workers “employees” or “independent contractors” for purposes of wage, hour, employee-benefit, and labor laws? In both Georgia and the U.S. gig-economy work is significant and rapidly expanding, though precise statistics in both countries do not exist. Similarly, in both countries, companies providing gig-economy work label their workers as “independent contractors”, though in many respects the companies’ control over the ways the workers do their work more closely resembles traditional employment status. In both countries, the law has not yet caught up to the changing nature of gig-economy work.

